KA021704664899620

სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტო

# ბრძანება

**N1/1-67** 09 / იანვარი / 2020 წ.

## შპს ,,ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრთან“ შპს „ქუთაისის ფსიქიკური ჯამრთელობის ცენტრის“ შერწყმის შესახებ

,,მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონის, ,,სახელმწიფო ქონების შესახებ” საქართველოს კანონის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2012 წლის 17 სექტემბრის № 391 დადგენილების, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2020 წლის 3 იანვრის N01/13 (შემოსვლ. N191/04) წერილისა და შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის“ 2019 წლის 7 ნოემბრის NOL-52895/-11/19 (შემოსვლ. N116479/04) წერილის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. განხორციელდეს შპს ,,ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრთან“ (ს/ნ 404945164) შპს „ქუთაისის ფსიქიკური ჯამრთელობის ცენტრის“ (ს/ნ 212693762) შერწყმა-მიერთება.
2. შპს ,,ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“ განისაზღვროს შპს „ქუთაისის ფსიქიკური ჯამრთელობის ცენტრის“ უფლებამონაცვლედ.
3. განთავისუფლდეს შპს „ქუთაისის ფსიქიკური ჯამრთელობის ცენტრის“ დირექტორის თანამდებობიდან ლალი ლალიაშვილი (პ/ნ 60001048614).
4. დაევალოს შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრს“, ბრძანების ხელმოწერიდან ორი კვირის ვადაში, დადგენილი წესით, უზრუნველყოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში შესაბამისი ცვლილების რეგისტრაცია;
5. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად

იოსებ ოქრომელიძე